JEL Classification: F02, F15, F19, F55, F69 https://doi.org/10.35945/gb.2021.12.009

GEORGIA, UKRAINE AND MOLDOVA, THE EU EASTERN PARTNERSHIP MEMBER STATES: MODERN CHALLENGES

RAMAZ PUTKARADZE
Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia
ramaz.putkaradze@tsu.ge

Abstract. The study of various initiatives of the European Union is highly pressing in terms of current globalization and regional integration processes. The Eastern Partnership is an EU initiative aimed at deepening and strengthening relations between the EU, its member states and the six countries of its Eastern neighborhood. The study of the issues concerning the economic development of the three associated countries (Georgia, Ukraine and Moldova) of Eastern Partnership is very important. Therefore, if these countries carry out significant reforms and the EU supports the development of the initiative, the integration of all three countries with the EU will possibly deepen.

The paper discusses the indicators and peculiarities of socio-economic development of the EU Eastern Partnership Associated Countries. These countries are actively seeking for further integration into the global economy.

Trade relations between Georgia, Moldova and Ukraine and the European Union have significant prospects. The share of Georgian exports to the EU in total exports amounted to 22%. EU plays an important role in Moldova's exports; in 2019 the share of the EU in Moldova's exports was 64%, which is the highest among the associated countries. Ukraine's trade with the EU is also high among these countries.

In 2019, Georgia's foreign trade turnover (%) accounted for 75% of GDP, which is quite high. Negative trade balance is a very important problem for the country; trade deficit (%) accounted for 32% of GDP. In 2019, the share of trade turnover (%) of Moldova and Ukraine reached 72-72% of GDP.

It should be noted that territorial integrity of all these countries within internationally recognized borders is violated which significantly hinders the economic development of the country; in addition, it also poses a serious threat to maintaining security and stability; and hinders their striving towards the EU.

The Eastern Partnership allows its member countries, including Georgia, to accelerate the process of trade and economic integration with the European Union through bilateral and multilateral cooperation.

The EU Eastern Partnership initiative promotes further integration of the member states into the EU, as well as the socio-economic development of its member states. The Eastern partner countries have a common communist past.

Georgia has the highest negative trade balance in foreign trade in goods among Eastern Partner countries. In addition, Georgia has the highest negative trade balance and negative import-export ratio. In case successful economic reforms are carried out Georgia might be the first Eastern Partner country to be awarded the status of an EU candidate country.

None of the Eastern Partner countries is a member of NATO. There is no direct link between the EU and NATO; however, the recent enlargements have shown that before joining the EU the country first becomes a member of NATO.

Georgia should continue further integration with the European Union and increase trade and economic cooperation with the EU and its member states. Increasing Georgia's exports to the EU remains a major challenge for the country. The Eastern Partner countries have to continue their effort to develop their economies and further integrate with the EU and the international community.

Thus, Georgia has a good opportunity to get closer to the EU, develop the national economy, make it competitive and increase trade and economic cooperation with the EU.

The Eastern Partnership allows its member countries, including Georgia, to accelerate the process of trade and economic integration with the European Union through bilateral and multilateral cooperation.

KEYWORDS: EASTERN PARTNERSHIP COUNTRIES, GEORGIA, MOLDOVA, UKRAINE, FOREIGN TRADE, GDP, ECONOMIC INTEGRATION.

For citation: Putkaradze, R. (2021). Georgia, Ukraine and Moldova, the EU Eastern Partnership Member States: Modern Challenges. *Globalization and Business.* 12, 66-73. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.009

JEL Classification: F02, F15, F19, F55, F69 https://doi.org/10.35945/gb.2021.12.009

საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი ქვეყნები: თანამედროვე გამოწვევები

რამაზ ფუტკარაძე
ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ramaz.putkaradze@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა, საგარეო ვაჭრობა, მთლიანი სამამულო პროდუქტი, ეკონომიკური ინტეგრაცია.

ციტირებისთვის: ფუტკარაძე, რ. (2021). საქართველო, უკრაინა და მოლდოვა, ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი ქვეყნები: თანამედროვე გამოწვევები. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 66-73. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.009

აღმოსავლეთის პარტნიორობა (EaP) ევროკავშირის წევრი ქვეყნების პოლონეთისა და შვედეთის ინიციატივაა, რომელიც ქმნის ახალ ჩარჩოს ევროკავშირის ურთიერთობებისთვის ექვს ქვეყანასთან, სომხეთთან, აზერბაიჯანთან, ბელორუსთან, საქართველოსთან, მოლდოვასა და უკრაინასთან. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის მონაწილეები პოსტსაბჭოთა ქვეყნებია. ევროკავშირის თანამშრომლობა აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებთან სხვადასხვა ფორმით ხორციელდება და იგი მოიცავს ეკონომიკური განვითარების მრავალ მიმართულებას, ასოცირების ხელშეკრულების ჩათვლით (Putkaradze, 2019).

2021 წლის ივლისში უკრაინისა და მოლდოვის პრეზიდენტები საქართველოს სტუმრობენ და ბათუმის საერთაშორისო კონფერენციას ესწრებიან. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამი სახელმწიფოს პრეზიდენტები ასოცირებული ტრიოს სამიტის დეკლარაციას მოაწერენ ხელს. ფორმატის მიზანი ევროპული ინტეგრაციის თაობაზე სამი ქვეყნის თანამშრომლობის გაღრმავებაა (https://civil.ge).

ცნობილია, რომ მიუნხენში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ასოცირებული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას, რომელიც ეხება ევროკავშირის მიერ ასოცირების შეთანხმებების შესრულების მხარდაჭერის გაზრდას საქართველოში, უკრაინასა და მოლდოვაში. (https://mfa.gov.ge). აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საკითხების კვლევა ფრიად აქტუალურია. ამ საკითხების კვლევას ეძღვნება მრავალი ნაშრომი – იხ., მაგალითად, Bedianashvili et al, (2019); Papava, (2018); Gogolashvili, (2018); Putkaradze, (2010, 2019) და სხვ.

აღმოსავლეთის პარტნიორობის ძირითადი მიზნებია: დაუახლოვოს წევრი ქვეყნები ევროკავშირს და ხელი შეუწყოს პარტნიორ ქვეყნებში ეკონომიკურ განვითარებას და ქვეყნების ევროკავშირთან ეტაპობრივ ინტეგრაციას. აღნიშნული ქვეყნები აქტიურად ცდილობს, გააღრმავოს სავაჭრო–ეკონომიკური კავშირები საერთაშორისო თანამეგობრების წევრ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი ევროკავშირთან.

ევროკავშირს აქვს საერთო საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა. შესაბამისად ევროკავშირი მოქმედებს როგორც ერთიანი სუბიექტი ვაჭრობის საკითხებში, მათ შორის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან (WTO). ევროკავშირი ცდილობს გლობალური მასშტაბით ხელი შეუწყოს თავისუფალი ვაჭრობის განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის ინსტრუმენტს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო პერიოდში საქართველომ მნიშვნელოვან წინსვლას მიაღწია ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის გზაზე. ექვსი ქვეყნიდან სამმა – საქართველომ, მოლდოვამ და უკრაინამ ხელი მოეწერეს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებას.

სწორედ 2013 წლის 28–29 ნოემბერს ქ. ვილნიუსში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი, სადაც მოხდა საქართველო–ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტის ჩათვლით. 2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელი მოეწერა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას. 2015 წლის ბოლოს კი წარმატებით დასრულდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მიერ საქართველო–ევროკავშირის

ასოცირების შეთანხმების რატიფიცირების პროცესი, ხოლო 2016 წლის 1 ივლისს, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმება, ძალაში შევიდა.

უვიზო რეჟიმი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და წინ გადადგმული ნაბიჯია. მოლდოვამ, აღმოსავლეთი პარტნიორობის ქვეყნებს შორის პირველმა, ლიბერალური სავიზო რეჟიმი აამოქმედა ევროკავშირთან. მოლდოვის მოქალაქეებს შეუძლიათ შენგენის ქვეყნებში იმოგზაურონ (90 დღემდე დარჩენით) ვიზის წინასწარი მიღების გარეშე. კიდევ ერთი წარმატება, რასაც საქართველომ მიაღწია, 2017 წლის 8 მარტს ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში გამოქვეყნდა ევროკავშირის საბჭოს რეგულაციის ცვლილება, რომლის თანახმად, საქართველომ ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მქონე ქვეყნების სიაში გადაინაცვლა. შესაბამისად, 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ფლობენ ბიომეტრიულ პასპორტს, შეძლებენ ვიზის გარეშე ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში გამგზავრებას. უვიზოდ მოგზაურობა შესაძლებელია შენგენის ზონის ტერიტორიაზე, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას, ევროკავშირის 4 არაწევრ ქვეყანას. უვიზო მიმოსვლა ასევე შესაძლებელია შენგენის 4 კანდიდატ ქვეყანასთან.

საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესისგან მიღებული შესაძლებლობები. საქართველო ყოველთვის ისწრაფოდა ევროპულ ოჯახში თავისი კუთვნილი ადგილის დამკვიდრებისკენ და ჩვენი საბოლოო მიზანიც სწორედ ევროკავშირის წევრობაა. ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი საკუთარ თავს ევროპული სივრცის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებენ. მიგვაჩნია, აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებიდან საქართველოს შეუძლია იყოს პირველი – ევროკავშირის კანდიდატი ან ევროპული პერსპექტივის ქვეყნის სტატუსი მიენიჭოს.

ბრიუსელში, 2017 წლის 24 ნოემბერს, აღმოსავლეთ პარტნიორობის მე-5 სამიტი გაიმართა (European Commission, 2017). ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები და ექვსი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყანა შეთანხმდა მომავალი თანამშრომლობის გზებზე. აღმოსავლეთ პარტნიორობის შედეგებზე უფრო მეტად ორიენტირებული მიდგომის მხარდასაჭერად, ევროკავშირმა 2020 წლისათვის 20 ძირითადი მიზანი შეიმუშავა. თანამშრომლობა ეფუძნებოდა ოთხ ძირითად პრიორიტეტულ სფეროს: ძლიერი ეკონომიკა: ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და ბაზრის შესაძლებლობების ათვისება კეთილდღეობის გაზრდის მიზნით; ძლიერი კავშირები; ძლიერი საზოგადოება.

საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას შორის სამმხრივი თანამშრომლობა პოსტსაბჭოთა სივრცეში დაარსებული რეგიონული პარტნიორობის მრავალი ინიციატივიდან ერთ-ერთს წარმოადგენს და განსაკუთრებით საინტერესოა იმ დროისა და (ფ)აქტორების გათვალისწინებით, რამაც ხელი შეუწყო ფორმატის განვითარებას. ასოცირების შესახებ შეთანხმების შემდგომ ეპოქაში საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის, როგორც აღმოსავლეთ პარტნიორობის ჩემპიონების, თვითშეფასებამ ხელი შეუწყო სამმხრივი თანამშრომლობის შექმნას, რათა მოეხდინათ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადის კონსოლიდაცია და გამიჯნულიყვნენ აღმოსავლეთ პარტნიორობის იმ სახელმწიფოებისგან, რომლებიც ევროკავშირის წევრობას არ განიხილავენ. გაწევრიანებისაკენ სწრაფვასთან ერთად ინიციატივა მნიშვნელოვანია სამმხრივი ურთიერთობების დამყარებისა და განვითარებისათვის (Davtyan, 2019). შესაბამისად, თუ აღნიშნული ქვეყნები გაატარებენ მნიშვნელოვან რეფორმებს და ევროკავშირი ხელს შეუწყობს ინიციატივის განვითარებას, შესაძლებელია, სამივე ქვეყნის ევროკავშირთან ინტეგრაცია გაიზარდოს.

უფრო ძლიერ ეკონომიკაში შედის შემდეგი მიზნები: საინვესტიციო და ბიზნესგარემოს გაუმჯობესება და მცირე და საშუალო საწარმოების ზრდის პოტენციალის ხელშეწყობა; ფინანსების ხელმისაწვდომობის და ფინანსური ინფრასტრუქტურის საკითხებში არსებული ხარვეზების გამოსწორება; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე; რეგიონის შიდა ვაჭრობის მხარდაჭერა პარტნიორ ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის.

საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ძირითადი მაჩვენებლები

2020 წლის მონაცემებით აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებში ცხოვრობს 71.8 მლნ. კაცი, რაც ევროკავშირის მოსახლეობის 16%-ს შეადგენს (Eurostat, 2021), ხოლო საქართველო, მოლდოვა და უკრაინაში ცხოვრობს 49,4 მლნ. კაცი (იხ. ცხრილი N1). აღნიშნული ქვეყნებიდან ყველაზე მეტი მოსახლეობა ცხოვრობს უკრაინაში. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ სამ ქვეყანაში 65 წლის და მეტი ასაკის ადამიანები შეადგენდნენ მოსახლეობის უფრო მცირე წილს, ვიდრე ევროკავშირში, სადაც ისინი შეადგენდნენ მთლიანი მოსახლეობის მეხუთედს. სამივე ქვეყანაში შობადობის დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა.

საქართველოს მოსახლეობა კი შეადგენს აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი ქვეყნების 5,2%-ს და ევროკავშირის მოსახლეობის 0,73%-ს. რაც შეეხება ფართობს, აღნიშნული ქვეყნების ფართობი შეადგენს ევროკავშირის საერო ფართობის 23%-ზე მეტს. საქართველოს ფართობი შეადგენს ექვსი ქვეყნის საერთო ფართობის 6,76%-ს და ევროკავშირის ფართობის 1,56%-ს.

უკრაინის მოსახლეობა ესპანეთსა და პოლონეთს შორისა, საქართველოსა და მოლდოვას მოსახლეობა ხორვატიასა და ლიეტუვას მოსახლეობას შორისაა. ბოლო წლებში ევროკავშირის მოსახლეობა შედარებით მოკრძალებული ტემპით გაიზარდა (წლიური საშუალო ზრდით 0,1%-ით). აღნიშნულ

ცხრილი 1. საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ფართობი და მოსახლეობის რიცხოვნობა (Eurostat, 2018, 2021).

	ფართობი (კვ. კმ)	მოსახლეობა (მლნ. კაცი)					
		2009	2015	2017	2018	2019	2020
საქართველო	69 700,0	4.4	3.7	3.7	3.7	3.7	3.7
მოლდოვა	33 846,0	3.6	3.5	3.5	3.4	4	4
უკრაინა	603 549,0	45.9	42.7	42.4	42.2	41.9	41.7

ქვეყნებში შეინიშნება მოსახლეობის რაოდენობის კლება.

მთლიანი სამამულო პოდუქტი (Papava & Silagadze, 2019). სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ცხოვრების დონის განსაზღვრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორს წარმოადგენს. სწორედ მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობა და მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე გვიჩვენებს ეკონომიკური განვითარების რა ეტაპზეა ქვეყანა, ხოლო მთლიანი სამამულო პროდუქტის რეალური ზრდის ტემპი განსაზღვრავს იმას, თუ რამდენად შეძლებს ქვეყანა დროის პერიოდში განვითარების მაღალი საფეხურების მიღწევას. საქართველოს წინაშე გამოწვევაა - განვითარებადი ქვეყნის სტატუსიდან ეტაპობრივად დაუახლოვდეს განვითარებულ ქვეყნებს. საერთაშორისო თანამეგობრობის არაერთმა ქვეყანამ შეძლო მთლიანი სამამულო პროდუქტის შთამბეჭდავი ზრდის წყალობით აღნიშნულის მიღწევა.

საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი და მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს მნიშვნელოვნად ჩამორჩება (Eurostst, 2021). ოფიციალური მონაცემებით 2019 საქართველოს მთლიანმა სამამულო პროდუქტმა 15.8 მლრდ. ევროს მიაღწია, რაც წინა წლებთან შედარებით გაზრდილია, მაგრამ ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება მოწინავე ევროპული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე საქართველოს მაჩვენებელი შეადგენს ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლის 11,9%-ს. ცხადია დიდი დროა საჭირო, საქართველოს მისი ეკონომიკით და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით ევროპული ქვეყნების რიგში აღმოჩნდეს. 2016 წელს საქართველო მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე მაჩვენებელით უსწრებს სამ ქვეყანას: სომხეთს, უკრაინასა და მოლდოვას. უნდა აღინიშნოს,რომ 2014 წლის ჩათვლით საქართველო უსწრებდა მხოლოდ სომხეთს, მაგრამ 2014 წელს საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგად ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 15%-ით ნაკლები და შესაბამისად გაიზარდა ქვეყანაში მთლიანი სამამულო პროდუქტი მოსახლეობის ერთ სულზე.

2016 წლის მონაცემებით აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნების მთლიანი სამამულო პროდუქტის მოცულობამ 190 მლრდ. ევრო შედგინა, რაც ევროკავშირის მთლიანი სამამულო პროდუქტის 1,2% შეადგენს. აღნიშნულ ქვეყნებში უდიდესი ეკონომიკა გაჩნია უკრაინას (137.3 მლრდ. ევრო). საქართველოს მთლიანი სამამულო პროდუქტი შეადგენს აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების მთლიანი სამამულო პროდუქტის 6,8%-ს და ევროკავშირის მთლიანი სამამულო პროდუქტის 0,1%-ს.

აღმოსავლეთის პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობა

საინტერესო სურათს იძლევა ამ ქვეყნებისა და ევროკავშირს შორის სავაჭრო თანამშრომლობის დინამიკისა და ტენდენციების ანალიზი. ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოუდგენელია სავაჭრო ინტეგრაციის გარეშე. საქართველოს საქონლის ექსპორტის მოცულობამ 2016 წელს 1909 მლნ. ევრო, ხოლო საქონლის იმპორტის მოცულობამ 6590 მლნ. ევრო შეადგინა. საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა კი 4681 მლნ. აშშ დოლარი. აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებში ყველაზე მაღალი უარყოფითი სავაჭრო სალდო აქვს საქართველოს. საქართველოს იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი შეადგენდა 29%-ს ანუ ყველაზე დაბალს, ევროკავშირის -101,9%-ს, უკრაინის - 92,6%-ს...

საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინასა და ევროკავშირის სავაჭრო ურთიერთობებს მნიშვნელოვანი პერსპექტივა აქვს. საქართველოს ექსპორტის წილი ევროკავშირში საანალიზო პერიოდში მნიშვნელოვნად არაა გაზრდილი და 22% შეადგინა. ევროკავშირის წილი მოლდოვას ექსპორტში

ცხრილი 2. საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის მთლიანი სამამულო პროდუქტი (მლრდ. ევრო) (Eurostat, 2021).

	GDP Total (EURO billion)						
	2006	2010	2015	2016	2017	2018	2019
საქართველო	6,2	9.2	13.5	13,7	14.4	14.9	15.8
მოლდოვა	2,7	5.3	7	7.3	8.6	9.7	10.7
უკრაინა	89,2	106.4	82.1	84,3	99.4	110.7	137.3

უფრო მაღალია, ვიდრე ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. 2019 წელს ევროკავშირის წილმა მოლდოვას ექსპორტში 64% შეადგინა და ყველაზე მაღალია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის (Eurostat, 2021). 2009-2019 წლებში ევროკავშირის წილი მოლდოვადან ექსპორტში თითქმის 17 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

საანალიზო პერიოდში ევროკავშირიდან ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის ექვს ქვეყანაში ექსპორტირებული საქონლის ყველაზე დიდი წილი უკრაინას ეკუთვნოდა, ევროკავშირის საქონლის უკრაინაში ექსპორტი 2009 წელს 13,3 მილიარდ ევროს შეადგენდა, ხოლო 2019 წელს 24,2 მილიარდ ევროს. ევროკავშირიდან მოლდოვაში განხორციელდა 2019 წელს 2,9 მილიარდი ევროს ღირებულების იმპორტი, რაც 2009 წელს 1,2 მილიარდი ევრო იყო. ევროკავშირის ექსპორტი საქართველოში 2009 წელს 0,9 მილიარდი ევროდან 2019 წელს 2,0 მილიარდ ევრომდე გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ევროკავშირიდან ექსპორტირებული საქონლის დაახლოებით 1.8% მოდიოდა ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის ექვსი ქვეყანაზე, ხოლო ევროკავშირის იმპორტის 1.9% ამ ქვეყნებზე მოდიოდა.

გლობალიზაციის პირობებში ყველა ქვეყანა ცდილობს საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართულობის გაზრდას. ცხრილში მოცემულია საქართველო, უკრაინა და მოლდოვის საქონლის ექსპორტის, იმპორტის და სავაჭრო ბალანის წილი (%) ქვეყნის მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებით. გლობალიზაციის პირობებში ქვეყნის ჩართულობის მასშტაბების ერთ-ერთი საზომია ქვეყნის ექსპორტის, იმპორტისა და სავაჭრო ბალანისის წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტთან მიმართებით, რაც განსხვავებულ სურათს იძლევა განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების მიხედვით. ქვეყნები, რომლებიც სპეციალიზირებულნი არიან სხვა დანარჩენი მსოფლიოსთვის მომსახურების მიწოდებაში, ასე მაგალითად როგორიცაა ტურიზმი, შეიძლება ჰქონდეთ სავაჭრო დეფიციტი, რადგან მომსახურება არ შედის საქონლის ექსპორტისა და იმპორტის სტატისტიკაში. ქვეყნის ვაჭრობის წილი (%) მთლიანი სამამულო პროდუქტის მიმართ ხშირად გამოიყენება როგორც ქვეყნის ღიაობის საზომი მსოფლიო ვაჭრობისთვის. მცირე ქვეყნებს აქვთ ვაჭრობის ღიაობის უფრო მაღალი დონე, ვიდრე დიდი ეკონომიკის ქვეყნებს. რადგან ნაკლებია შიდა წარმოების საქონლის ყიდვისა და გაყიდვის შესაძლებლობა. ურთიერთობა სავაჭრო ღიაობასა და შემოსავალს შორის უფრო რთულია, თუმცა დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებს ზოგადად დაბალი სავაჭრო ღიაობა აქვთ.

ცხრილი 3-ის მონაცემები გვიჩვენებს, რომ 2019 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის წილმა (%) მთლიანი სამამულო პროდუქტის 75% შეადგენდა, რაც მაღალი მაჩვენებელია და 23%-ით მეტია 2009 წლის მაჩვენებელთან შედარებით. ეს ცვლილება განპირობებული იყო ქვეყნის როგორც ექსპორტის, ასევე იმპორტის ზრდით. ქვეყნის მნიშვნელოვანი პრობლემაა უარყოფითი სავჭრო ბალანსი. 2009 წელს სავაჭრო დეფიციტის წილი (%) მთლიანი სამამულო პროდუქტის 31%, ხოლო 2019 წელს 32%-ს შადგენდა.

2019 წელს მოლდოვას სავაჭრო ბრუნვის წილმა (%) მთლიანი სამამულო პროდუქტის 72% შეადგინა, რაც შემცირებულია წინა წლებთან შედარებით, როგორც ცხრილიდან ჩანს 2009 წელს 84% ანუ 12%-ით მეტი იყო. აღნიშნული

ცხრილი 3. საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის ექსპორტის, იმპორტის და სავაჭრო ბალანსის წილი (%) მთლიანი სამამულო პროდუქტის (GDP) მიმართ

	2009	2010	2014	2015	2016	2017	2018	2019
ექსპორტი								
საქართველო	10.5	13.7	16.2	14.8	14.0	16.9	19.2	21.4
მოლდოვა	23.6	22.1	24.6	25.4	25.4	24.9	23.7	23.2
უკრაინა	32.2	36.0	40.2	41.9	39.0	38.5	36.2	32.6
ევროკავშირი	11.2	13.1	15.3	15.4	14.9	15.3	15.2	15.3
იმპორტი								
საქართველო	41.6	42.8	48.8	48.9	48.4	49.6	53.2	53.6
მოლდოვა	60.4	55.4	56.1	51.7	49.8	49.7	50.4	48.8
უკრაინა	37.2	42.8	40.6	41.2	42.1	44.2	43.7	39.6
ევროკავშირი	11.3	13.4	13.8	13.5	12.8	13.6	14.1	13.9
სავაჭრო ბალანსი								
საქართველო	-31.0	-29.1	-32.6	-34.1	-34.5	-32.7	-34.0	-32.2
მოლდოვა	-36.8	-33.4	-31.5	-26.2	-24.5	-24.8	-26.7	-25.6
უკრაინა	-4.9	-6.8	-0.4	0.7	-3.1	-5.6	7.5	7.0
ევროკავშირი	-0.1	-0.3	1.5	1.9	2.1	1.7	1.1	1.4

განპირობებულია მოლდოვაში იმპორტის შემცირებით. 2009 წელს იმპორტის წილი (%) მთლიანი სამამულო პროდუქტის 60,4%-დან 2019 წელს 48.8%-მდე შემცირდა. ასევე გაუჯობესდა ქვეყნის სავაჭრო ბალანსი, მისი წილი მთლიანი სამამულო პროდუქტის მიმართ -36.8%-დან შემცირდა -25.6%-მდე. აღსანიშნავია, რომ მოლდოვას საქართველოსთან შედარებით კარგი მდგონარეობა აქვს.

2019 წელს უკრაინის საგარეო სავაჭრო ბრუნვის წილმა (%) მთლიანი სამამულო პროდუქტის 72% შეადგენდა, რაც 2009 წელთან შედარებით მხოლოდ 3%-ით არის გაზრდილი. საანალიზო პერიოდში უკრაინის ექსპორტისა და იმპორტის წილი (%) მთლიან სამამულო პროდუქტში მნიშვნელოვნად არაა შეცვლილი.

აღნიშნული სამივე ქვეყანის და ევროკავშირის საშუალო მაჩვენებლები მნიშვნელოვნად განსხვავდება. 2019 წელს ევროკავშირის საგარეო სავაჭრო ბრუნვის წილმა (%) მთლიანი სამამულო პროდუქტის 29% შეადგენდა, რაც უფრო დაბალია ვიდრე აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის მაჩვენებლები, განსხვავება გამოწვეულია, რომ ევროკავშირს აქვს გაცილებით დიდი ეკონომიკა.

საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას საქონლით ვაჭრობა ევროკავშირთან

აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნები აგრძელებს ევროკავშირთან კიდევ უფრო მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას, ინტეგრაციას და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოს საგარეო ვაჭრობისათვის დამახასიათებელი ძირითადი თავისებურებაა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი. 2019 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 2.7 მლრდ. ევრო შეადგინა, მათ შორის ექსპორტმა 0,7 მლრდ. ევრო და იმპორტის მოცულობამ 2 მლრდ. ევრო შედგინა. ამრიგად, დაბალია საქართველოს სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან. იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი საქართველოსათვის შეადგენს ყველაზე დაბალს 25,8%-ს, უკრაინის -106,7%-ს, და მოლდოვას - 67,6%-ს.

აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს აქვს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ევროკავშირთან, შესაბამისად მათი საქონლის ექსპორტისა და იმპორტის დიდი ნაწილი ევროკავშირზე მოდის.

საქართველომ პრიორიტეტულად ექსპორტის წარმოება უნდა განავითაროს, მაგრამ იმავდროულად, იმპორტის შემცვლელი წარმოების განვითარებასაც უნდა მოახერხოს (Basilia T., Silagadze A., Chikvaidze T. (2001) გვ. 429). აუცილებელია საქართველოს უარყოფითი საგარეო სავაჭრო სალდოს შემცირება, ექსპორტის მოცულობის გაზრდა და მისი ეტაპობრივი დივერსიფიკაცია. თავის მხრივ, ექსპორტის გაზრდა ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი საფუძველია.

ამრიგად, საქართველოს არჩევანი, მისი ეკონომიკა იყოს მოწინავე და დაუახლოვდეს ევროპის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარების მაჩვენებლებს, წარმოადგენს საკმაოდ რთულ და შორეულ ამოცანას, მაგრამ მიღწევადია. ამისათვის კი საჭიროა ეკონომიკური ზრდის ტემპით საქართველო ევროპასა და აღმოსავლეთის პარტნიორ ქვეყნებს შორის იყოს ლიდერი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ექსპორტის მოცულობა ევროკავშირთან და მისი წილი დაბალია. 2019 წელს საქართველოს ექსპორტის 21% მოდიოდა ევროკავშირზე. შედარებისათვის მოლდოვის მთლიანი ექსპორტის 64% მოდის ევროკავშირზე.

„ასოცირებული ტრიოს" და ევროკავშირის ცალკეულ წევრ ქვეყნების ვაჭრობის შესახებ

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან გერმანიაზე მოდიოდა საქონლის ყველაზე მაღალი ექსპორტი აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყანაში 7.8 მლრდ. ევრო (2009 წელი - 6.2 მლრდ. ევრო), პოლონეთის ექსპორტმა აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში 2019 წელს 7.2 მლრდ. ევრო შეადგინა (2009 წელი - 3.5 მლრდ. ევრო), იტალიის - 3.1 მლრდ. ევრო, (2009 წელი - 2,1 მლრდ. ევრო). უნგრეთის - 2.9 მლრდ. ევრო, (2009 წელი - 1.2 მლრდ. ევრო). ასევე მნიშვნელოვანი ექსპორტიორები ლიტვა 2.3 მლრდ. ევრო და რუმინეთი - 2.1 მლრდ. ევრო. ხოლო ევროკავშირის დარჩენილ 21 წევრ ქვეყანაზე მოდიოდა 2019 წელს 12.9 მილიარდი ევროს ღირებულების საქონლის ექსპორტი.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებიდან იტალიაა ყველაზე

ცხრილი 4. საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვას საქონლით ვაჭრობა ევროკავშირთან 2006 და 2019 წლებში (მლრდ. ევრო)

	ექსპორტი ევროკავშირში		იმპორტი ეევროკავშირიდან		სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირთან	
	2006	2019	2006	2019	2006	2019
საქართველო	0.2	0.7	0.9	2	1.1	2.7
მოლდოვა	0.4	1.8	1	2.9	1.4	4.7
უკრაინა	9.7	19.1	15.9	24.2	25.6	43.3

დიდი ბაზარი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნების საქონლისთვის. იტალიის საქონლის იმპორტმა ENP–აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან 2019 წელს 7.9 მლრდ. ევრო შეადგინა (2009 წელი –4,6 მლრდ. ევრო). მეორე უმსხვილესი იმპორტიორია გერმანია – 4.4 მლრდ. ევრო, (2.8 მლრდ. ევრო – 2009 წელი), პოლონეთი მესამე იმპორტის ბაზარია 4.0 მლრდ. ევრო, (2009 წელი – 1.4 მლრდ. ევრო), ნიდერლანდები – 2.6 მლრდ. ევრო, ესპანეთი – 2,4 მლრდ. ევრო და ჩეხეთი – 2,1 მლრდ. ევრო. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან სხვა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში განხორციელდა 13.3 მლრდ. ევროს ღირებულების საქონლის იმპორტი (2009 წელი – 7.0 მლრდ. ევრო).

დასკვნები

აღმოსავლეთის პარტნიორობა მასში მონაწილე ქვეყანებს, მათ შორის საქართველოს, აძლევს შესაძლებლობას ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში დააჩქაროს ევროკავშირთან სავაჭრო–ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი. ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა ხელს უწყობს წევრი ქვეყნების შემდგომ ინტეგრაციას ევროკავშირთან, ასევე წევრი ქეყნების სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებას. აღმოსავლეთ პარტნიორ ქვეყნებს აქვთ საერთო კომუნისტური წარსული.

სამივე ქვეყანას აქვს დარღვეული საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში მათი ტერიტორიულ მთლიანობა. მნიშვნელოვნად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას, ასევე სერიოზულ საფრთხეს უქმნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებას. ხელს უშლის მათ სწრაფვას ევროკავშირისაკენ.

საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინას შორის საქონლით საგარეო ვაჭრობაში საქართველოს აქვს ყველაზე მაღალი უარყოფითი სავაჭრო სალდო და დაბალი იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი. ასევე დაბალია საქართველოს ექსპორტის, იმპორტის და სავაჭრო ბრუმვის წილი (%) მთლიანი სამამულო პროდუქტის მიმართ.

აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებიდან სამმა (საქართველო, მოლდოვა და უკრაინა) მიაღწია ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებას. საქართველომ ასევე მიაღწია წარმატებას ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის კუთხით.

შესაძლებელია წარმატებული ეკონომიკური რეფორმების გატარების შედეგად საქართველო იყოს პირველი ქვეყანა აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნებიდან რომელსაც მიენიჭება ევროკავშირის კანდიდატი ქვეყანაა. აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების არც ერთი წევრი არაა ნატოს წევრი. პირდაპირი კავშირი ევროკავშირსა და ნატოს შორის მართალია, არაა, მაგრამ ბოლო გაფართოებების შედეგად ნათელია: ქვეყანა ჯერ ნატოს წევრი ხდება ევროკავშირის წევრობამდე.

ევროკავშირთან კიდევ უფრო ინტეგრაცია. საქართველომ უნდა გააგრძელოს ევროკავშირთან შემდგომი ინტეგრაცია. გაზარდოს სავაჭრო–ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან და წევრ ქვეყნებთან. ძირითად გამოწვევად რჩება საქართველოს ექსპორტის მოცულობის გარდა ევროკავშირში. აღმ.პარტნიორმა ქვეყნებმა უნდა გაგრძელონ ეკონომიკის განვითარება და ევროკავშირთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან შემდგომი ინტეგრაცია. ამრიგად, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, კიდევ უფრო დაუახლოვდეს ევროკავშირს, განავითაროს ეროვნული ეკონომიკა, გახადოს კონკურენტუნარიანი და გაზარდოს სავაჭრო–ეკონომიკური თანამშრომლობა ევროკავშირთან.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Basilia, T., Silagadze, A., & Chikvaidze T. (2001) Post-Socialistic Transformation: Georgian Economy at the Threshold of the XXI Century. Tbilisi (in Georgian).

Bedianashvili, G. (2021). Macroeconomic and Cultural Determinants of the COVID-19 Pandemic Crisis. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 15 (2), 191-197.

Bedianashvili, G., Ivanov, Y., & Paientko, T. (2019). Tax Reforms in Ukraine and Georgia: Changing Priorities. *Journal of Tax Reform* , 107-128.

Davtyan, E. (2019). Unpacking the Georgia-Ukraine-Moldova Cooperation: An Open-Ended or Narrowly Focused Partnership? Georgian Foundation for Strategic and International Studies.

Eteria, E. (2019). Georgia's Trade Performance in the Light of EU-Georgia Deep and Comprehencive Free Trade Area, Ecoforum Journal, 8(2/19).

European Commission. (2021). https://www.consilium.europa.eu/en/policies/eastern partnership/georgia/

Eurostat. (2018). Statistics on European Neighbourhood Policy Countries: East. Luxembourg: *Publications Office of the European Union*.

Eurostat. (2021). European Neighbourhood Policy countries - statistical overview. *online Eurostat publication.*

Gogolashvili, K. (2018). Eastern Partnership Summit of 2017 and its Consequences. Rondeli Foundation. https://www.gfsis.org/ge/blog/view/771.
https://civil.ge/ka/archives/432958.
https://mfa.gov.ge. https://mfa.gov.ge/News/miunkhenshi-sami-asocirebuli-qveynis-saqartvelos,.aspx.
National Bureau of Statistics of the Republic of Moldova, www.statistica.md.
National Statistics Office of Georgia, www.geostat.ge.
Papava V., & Silagadze A. (2019). "How the Term the "Gross Domestic Product" should be Translated into Georgian." Globalization and Business, 7,203-204. (In Georgian).
Papava, V. (2018) Assessment of Economic Growth in the Post-Communist Members of the European Union and the Eastern Partnership States. Georgian Foundation for Strategic and International Studies.
Putkaradze, R. (2012). Actual Issues of the Foreign Trade of Georgia. Paata Gugushvili Institute of Economics of Ivane JAvakhishvili Tbilisi State University. Proceedings of Materials of International Scientific-Practical Conference Dedicated to the 60th Birth Anniversary of Professor George Tsereteli National Economies and Globalization. 51-58. (In Georgian).
Putkaradze, R. (2015). Historical Aspects of Trade and Economic Relations between Georgia and the European Union. Zeszyty Naukowe Uniwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego W Siedlcach Seria: Administracjaizarządzanie. Scientific Journal, Nr 107, 2015. Zeszytynaukowe Uniwersytetu Przyrodniczo-Humanistycznego w Siedlcach Seria: AdministracjaiZarządzanie, Poland.
Putkaradze, R. (2019). Georgia in the European Union's Eastern Partnership Countries: Historical Aspects and Challenges. *Journal, Ecoforum Journal*. 8, Issue 1(18).
Putkaradze, R. (2010). Trade and Economic Relations between Georgia and the European Union: Problems and Perspectives. *Universali, Tbilisi.* (In Georgian).
Putkaradze, R., & Chania, M. (2018). The Priorities of Georgian Economic Development in Conditions of Globalization. European Journal of Marketing and Economics, 1(1), 63-66.
Silagadze, A., & Zubiashvili, T. (2015). Parameters of the European Union and the Post-Soviet Georgia's Economy. *Refereed International Journal of Business and Management Studies* (IJBMS).
State Statistics Service of Ukraine, ukrstat.org.
World bank (2019). World development indicators.
World Trade Organization (2020). World Trade Statistical Review.